# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

№480 2017 წლის 14 მარტი ქ. თბილისი

**საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ**

1. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების საფუძველზე და „საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცებისა და საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №172 დადგენილებით შექმნილი სამთავრობო კომისიის მიმდინარე წლის 24 თებერვალს მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან

მუნიციპალიტეტებს გამოუყოს 72 322 208 (სამოცდათორმეტი მილიონ სამას ოცდაორი ათას ორას რვა) ლარი, მათ შორის:

1.1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 2 415 000 (ორი მილიონ ოთხას თხუთმეტი ათასი) ლარისა, დანართი №1-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.2. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 1 758 500 (ერთი მილიონ შვიდას ორმოცდათვრამეტი ათას ხუთასი) ლარისა, დანართი №2-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 388 477 (სამას ოთხმოცდარვა ათას ოთხას სამოცდაჩვიდმეტი) ლარისა, დანართი №3-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.4. ვანის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 2 806 400 (ორი მილიონ რვაას ექვსი ათას ოთხასი) ლარისა, დანართი №4-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.5. თერჯოლის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 2 894 695 (ორი მილიონ რვაას ოთხმოცდათოთხმეტი ათას ექვსას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარისა, დანართი №5-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.6. საჩხერის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 2 718 456 (ორი მილიონ შვიდას თვრამეტი ათას ოთხას ორმოცდათექვსმეტი) ლარისა, დანართი №6-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.7. ტყიბულის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 2 560 075 (ორი მილიონ ხუთას სამოცი ათას სამოცდათხუთმეტი) ლარისა, დანართი №7-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.8. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 9 260 922 (ცხრა მილიონ ორას სამოცი ათას ცხრაას ოცდაორი) ლარისა, დანართი №8-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.9. წყალტუბოს მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 2 384 993 (ორი მილიონ სამას ოთხმოცდაოთხი ათას ცხრაას ოთხმოცდაცამეტი) ლარისა, დანართი №9-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.10. ხონის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 2 280 891 (ორი მილიონ ორას ოთხმოცი ათას რვაას ოთხმოცდათერთმეტი) ლარისა, დანართი №10-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.11. თელავის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 2 990 000 (ორი მილიონ ცხრაას ოთხმოცდაათი ათასი) ლარისა, დანართი №11-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.12. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 3 232 965 (სამი მილიონ ორას ოცდათორმეტი ათას ცხრაას სამოცდახუთი) ლარისა, დანართი №12-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.13. ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 4 025 736 (ოთხი მილიონ ოცდახუთი ათას შვიდას ოცდათექვსმეტი) ლარისა, დანართი №13-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.14. ყვარლის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 2 257 105 (ორი მილიონ ორას ორმოცდაჩვიდმეტი ათას ას ხუთი) ლარისა, დანართი №14-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.15. დუშეთის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 1 870 000 (ერთი მილიონ რვაას სამოცდაათი ათასი) ლარისა, დანართი №15-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.16. ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 2 750 000 (ორი მილიონ შვიდას ორმოცდაათი ათასი) ლარისა, დანართი №16-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.17. ყაზბეგის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 962 828 (ცხრაას სამოცდაორი ათას რვაას ოცდარვა) ლარისა, დანართი №17-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.18. ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 1 120 000 (ერთი მილიონ ას ოცი ათასი) ლარისა, დანართი №18-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.19. ცაგერის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 1 447 631 (ერთი მილიონ ოთხას ორმოცდაშვიდი ათას ექვსას ოცდათერთმეტი) ლარისა, დანართი №19-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.20. აბაშის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 1 810 000 (ერთი მილიონ რვაას ათი ათასი) ლარისა, დანართი №20-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.21. მარტვილის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 2 270 000 (ორი მილიონ ორას სამოცდაათი ათასი) ლარისა, დანართი №21-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.22. მესტიის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 1 052 778 (ერთი მილიონ ორმოცდათორმეტი ათას შვიდას სამოცდათვრამეტი) ლარისა, დანართი №22-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.23. სენაკის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 2 120 000 (ორი მილიონ ას ოცი ათასი) ლარისა, დანართი №23-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.24. წალენჯიხის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 1 862 000 (ერთი მილიონ რვაას სამოცდაორი ათასი) ლარისა, დანართი №24-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.25. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 1 803 273 (ერთი მილიონ რვაას სამი ათას ორას სამოცდაცამეტი) ლარისა, დანართი №25-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.26. დმანისის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 1 741 986 (ერთი მილიონ შვიდას ორმოცდაერთი ათას ცხრაას ოთხმოცდაექვსი) ლარისა, დანართი №26-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.27. კასპის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 3 317 770 (სამი მილიონ სამას ჩვიდმეტი ათას შვიდას სამოცდაათი) ლარისა, დანართი №27-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.28. ქარელის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 3 569 513 (სამი მილიონ ხუთას სამოცდაცხრა ათას ხუთას ცამეტი) ლარისა, დანართი №28-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

დანართი №24

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი

| N | დასახელება | პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხები | პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა |
|---|---|---|---|
| 1 | წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში ნაკიფუს, მიქავას, ჯგალი-ლეჩახორილეს უბანი, ფახულანი, სარიჩის, ქალაქ წალენჯიხის სამიქაოს უბანი, ლია და ჭალეს წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია | 480,000.0 | 430,000.0 |
| 2 | წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ქ. წალენჯიხის წურწუმია, ადამია, ფიფია, სოხუმის მარჯვენა სანაპიროს, ხოშელიას, სამეგრელოს, ტაბიძის, ქ. ჯვარის კოსტავას, გამსახურდიას და შიდა ქუჩების რეაბილიტაცია | 668,000.0 | 595,000.0 |
| 3 | წალენჯიხის №4 და ჩქოლერის საბავშვო ბაღების (მიქავას და ჯგალის ბაღების მეორე ეტაპი) მშენებლობა | 670,000.0 | 600,000.0 |
| 4 | კულტურის სახლის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) | 265,000.0 | 237,000.0 |
| | სულ ჯამი | 2,083,000.0 | 1,862,000.0 |